განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI[1] თავი არეგულირებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, ხოლო კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები ამავე კოდექსის XVI თავით არის მოწესრიგებული.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი თავის (XVI[1]) 143[2] მუხლი ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ამავე კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისას, ხოლო კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი თავი მითითებას 143[2]-143[10] მუხლების დებულებებზე აკეთებს.

კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროკურორის შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით[1] გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო. აღნიშნული მუხლების ჩამონათვალი არ მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავში (სამოხელეო დანაშაული) მოქცეულ ყველა მუხლს, არამედ მხოლოდ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს და აგრეთვე, გამონაკლისის სახით, 340-ე და 341-ე მუხლებს, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება.

გარდა ზემოაღნიშნული მუხლებისა, რომელთა ჩამონათვალიც ამომწურავია, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული ან/და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუშვებელია. მოქმედი რედაქცია არ მოიცავს, სხვებს შორის, ისეთ ნაკლებად მძიმე სამოხელეო დანაშაულს, როგორცაა 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

---

[1] 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143[3] მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 255[1], 259[4] და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე, 306-ე და 306[1] მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები.

აქედან გამომდინარე, ყველა სახის სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს სრულყოფილი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება უკვე ჩადენილი სამოხელეო დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასა და სამომავლოდ მსგავსი დანაშაულების პრევენციაზე.

სამოხელეო დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ტიპის დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას. მისი ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ ფუნქციონირებასთან. ამ ტიპის დანაშაულები ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის კონკრეტული პიროვნების უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამოხელეო დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიება მჭიდრო კავშირშია ქვეყანაში კორუფციის/კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ფუნდამენტური ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად დღეს საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის დონის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. კორუფციის პრევენცია საჭიროებს მუდმივ და განგრძობად ძალისხმევას კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის. კორუფციის პრევენცია და ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ევროინტეგრაციის გზაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ანტიკორუფციული ქსელის საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდის[2] და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფის მეოთხე რაუნდის[3] 2016 წლის ანგარიშების თანახმად, მიუხედავად მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, კორუფციასთან ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებისა და პრევენციის მიზნით, აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, წარმოდგენილი საკანონმდებლო პროექტის მიღება მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების ზემომითითებული რეკომენდაციების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 28 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე - *„მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (N72508/13)* გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც დაადასტურა, რომ ივანე მერაბიშვილის დაკავება და წინასწარი პატიმრობა (რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე) იყო კანონიერი. დიდმა პალატამ გასაჩივრებულ მუხლებთან მიმართებით ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 5.1 მუხლი, აგრეთვე 5.3 მუხლი (რაც შეეხება ივანე მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას). ევროპული

---

[2] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ანტიკორუფციული ქსელის საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში, 2016, ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/corruption/acn/istanbulactionplancountryreports.htm

[3] კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფის საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში, 2016, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/greco/evaluations/georgia

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა კონვენციის 5.3 მუხლის დარღვევა საქართველოს სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის გამო; ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე, 9 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში - 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტიდან გამომდინარე (ივანე მერაბიშვილის ღამით საკნიდან შესაძლო გაყვანის ეპიზოდი). ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამ ეპიზოდთან მიმართებით დადგენილი დარღვევა განპირობებულია, სხვებს შორის, <u>იმ გარემოებით, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს N9 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მომჩივნის, ი. მერაბიშვილის შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების მიზნით, ვერ მოხდა მის მიერ დასახელებული შესაბამისი პირების სატელეფონო ჩანაწერებისა და მობილური კავშირის ანძების მონაცემების შემოწმება</u> (იხ. დიდი პალატის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 340[4]).

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 21 ივნისს, ი. მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სატელეფონო კავშირებისა და ანძების გადამოწმების შესაძლებლობას, სსსკ-ის XVI თავის (კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები) 136-ე მუხლის (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა) პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, იმ საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებიც აღნიშნული მუხლითაა გათვალისწინებული, ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^{2}-143^{10} მუხლების დებულებები, რომლებიც ზემოთ არის მიმოხილული.

<u>აქედან გამომდინარე, ი. მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყება, კანონის დებულებებიდან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, მობილური ოპერატორებისგან გამოეთხოვა ელექტრონული ინფორმაცია ცალკეული პირების სატელეფონო კავშირების და მომსახურე ანძების შესახებ, რაც, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის აზრით, უნდა გაკეთებულიყო. საქართველოს მთავრობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება კანონში არსებული ჩანაწერის გამო იყო შეუძლებელი, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა.</u>

<u>აღნიშნულ საქმეზე განახლებული გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყება მოქმედი კანონმდებლობით ამჟამადაც მოკლებულია ამგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას.</u>

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს. კერძოდ, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები

---

[4] მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N 72508/13, დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2017 წლის 28 ნოემბერი, §340, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-178753

კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეებს წარმოადგენენ. ხოლო, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ზოგად ღონისძიებებს. კერძოდ, ინდივიდუალური ღონისძიებები ეხება სახელმწიფოს მიერ გატარებულ იმ ზომებს, რომლებმაც აღმოფხვრეს/უნდა აღმოფხვრან სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევები კონკრეტულ მომჩივანთან მიმართებით. რაც შეეხება ზოგად ღონისძიებებს, აღნიშნული გულისხმობს დადგენილი დარღვევების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრასა და მათ სამომავლო პრევენციას (მაგ., საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლა და სხვ.). ამდენად, ხსენებული კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, აღსრულების ზოგადი ღონისძიების სახით, ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმის შემოღება, განახლებული გამოძიების ფარგლებში იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც დაადგინა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ და მომავალში ევროპული სასამართლოს მიერ მსგავსი დარღვევების დადგენის თავიდან აცილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის მიღება განპირობებულია არსებული საკანონმდებლო ხარვეზით, განახლებული გამოძიების ფარგლებში ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობით და ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის საჭიროებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში არსებული ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ხელშეწყობა, აგრეთვე აღსრულების ზოგადი ღონისძიების სახით ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმის შემოღება და მომავალში ევროპული სასამართლოს მიერ მსგავსი დარღვევების დადგენის თავიდან აცილება.

ფართო გაგებით, კანონპროქტი სამოხელეო დანაშაულების პრევენციისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ამჟამად არ არსებობს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გამოძიებას ექნება შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე სამოხელეო დანაშაულების (გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე და 341-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისა) გამოძიების ფარგლებში გამოიყენოს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები და ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

კანონპროექტით ფართოვდება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების ჩამონათვალი, რომელიც მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში. მოქმედი კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების/კომპიუტერულ

მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია, თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო. ამ მუხლების ჩამონათვალს ემატება სამოხელეო დანაშაულების მთლიანი თავი (თავი XXXIX).

აღნიშნული ცვლილება შესაძლებელს გახდის როგორც ფარული, ისე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას ნაკლებად მძიმე კატეგორიის სამოხელეო დანაშაულებზეც, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ არის უზრუნველყოფილი.

ზემოაღნიშნულის გარდა, კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული მუხლების ჩამონათვალიდან 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 140-ე და 141-ე მუხლებსა და 303-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითების ამოღებას ითვალისწინებს.

2015 წლის 12 ივნისს ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლში,[5] რომლითაც განისაზღვრა, რომ ხსენებული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე. ასევე, 2013 წლის 27 ნოემბრისა[6] და 2017 წლის 4 მაისის[7] კანონებით ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლებში. შედეგად, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები წარმოადგენენ მძიმე დანაშულებს. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლს, 2018 წლის 20 აპრილის ცვლილებებით[8] აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4-დან 7 წლამდე ვადით. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ისედაც ვრცელდება მძიმე/განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე, აღარ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების გამონაკლისის სახით მითითების საჭიროება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

---

[5] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2880327#DOCUMENT:1;
[6] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2101943#DOCUMENT:1;
[7] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3664456#DOCUMENT:1;
[8] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4167809#DOCUMENT:1;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანოპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროკურატურამ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.